# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან.
**2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ**

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
**www.opentext.ge/menora**

სამყარო სამ საყრდენზე დგას: თორაზე, ღ-თის სამსახურსა და ქველმოქმედებაზე

ფირკეი ავოთ

ებრაული გაზეთი საქართველოში
MENORA
JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

"מנורה"
עיתון יהודי בגורגיה

``МЕНОРА``
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი
(ტებეთი)
1-15
№1 (217)
(5766 წელი)
2006 წელი
ფასი 50 თეთრი

# מנורה


## თბილისის დიდი ქნესეთი, 25 დეკემბერი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხანუკის პირველ სანთელს ანთებს



# ღვთიურ სასწაულს ადამიანთა



**25 დეკემბერს საქართველოში მცხოვრები თითქმის ყოველი კონფესიის ადამიანი თავის რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავდა: კათოლიკები – ქრისტეშობას, მართლმადიდებლები – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II აღსაყდრების დღეს. მაგრამ თბილისელთა ყურადღების ცენტრში მაინც ქართველ ებრაელთა დიდი ბეით ქნესეთი მოექცა, ებრაელი ერი ამ დღეს ღვთიურ სასწაულს – ხანუქის დღესასწაულს აღნიშნავდა. ხანუქა კი, მართლაც არის სიხარულის მომგვრელი, იმედის შთამნერგავი დღესასწაული – ამ დღეებში ებრაელმა ხალხმა არა მხოლოდ ეროვნული, რელიგიური თავისთავადობა შეინარჩუნა, მომავლის რწმენით აღივსო.**

სიხარულს ადამიანის მიერ ნაჩუქარი დღესასწაულიც აძლიერებდა – საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი სალოცავს სეფერთორას ჩუქნიდა.



სეფერთორის გადაცემის ცერემონიალი სწორედ ხანუქის პირველი სანთლის ანთების დღეს უნდა გამართულიყო.

დღესასწაულის მოლოდინს ისიც აძლიერებდა, რომ ჯამაათი ბეით ქნესეთში საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს ელოდა – სწორედ მას უნდა აენთო პირველი სახანუქე სანთელი.

25 დეკემბერს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში დემოკრატია იმარჯვებს – თუ თორმეტი წლის წინათ, 1993 წელს, ხანუქის პირველი სანთელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბ-მა ედუარდ შევარდნაძემ პროფესიული კავშირების სასახლეში შეკრებილი ჯამაათის წინაშე აანთო, შარშან ბ-ნმა მიხეილ სააკაშვილმა ოპერისა და ბალეტის თეატრში აგვინთო ხანუქის სანთელი, დღეს პრეზიდენტი ბეით ქნესეთში გვეწვია.

ჩვენ, საქართველოს ებრაელობას, გვაქვს სიამაყის უფლება – ჩვენი ქვეყნის სიუხვრენნი არა მხოლოდ წარსულში მიაგებდნენ პატივს ებრაელობას, დღესაც დიდი ყურადღებით ეკიდებიან ებრაელთა ტრადიციას. დღევანდელ მსოფლიოში ბევრი ქვეყანა მიდის დემოკრატიის გზით, მაგრამ ბეით ქნესეთში რამდენი ქვეყნის პრეზიდენტმა აანთო ხანუქის პირველი სანთელი?

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ქართული ისტორიული ტოლერანტიზმით, კაცთმოყვარეობით უნდა აიხსნას, მაგრამ არც ქართველი ებრაელობის ცხოვრების წესი, საქართველოსადმი ერთგულებაა უმნიშვნელო ფაქტორი – მათ საქართველოში ისე იცხოვრეს, რომ აი, ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. აი დღეს ვხედავთ, რომ ჩვენი სიყვარული და ერთგულება ქართველი ხალხისა და საქართველოსადმი ცალმხრივი არ არის.

სალოცავის ეზოდან ბ-ნი ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციისაკენ ხალხით სავსე ავტობუსი დაიძრა. ისრაელში საგანგებოდ დამზადებული სეფერთორა აქ გახლდათ დაბრძანებული. რეზიდენციაში მოზეიმე ხალხის საზეიმო პურობას თავად ბადრი პატარკაციშვილმა უმასპინძლა. მის რეზიდენციაში საქართველოს მთავარმა რაბინმა არიელ ლევინმა მეზუზები მიაკრა და აკურთხა. შემდეგ ბ-მა ბადრი პატარკაციშვილმა ოჯახში პირველი სახანუქე სანთელი აანთო. ახალი სეფერთორისადმი პატივის მიგების, ზეიმისა და პურობის შემდეგ კი ავტომობილები ბეით ქნესეთისაკენ გაემართნენ, მათ „თათრის მეიდანთან" ზღვა ხალხი ელოდა. ისინი ცეკვითა და სიმღერით, მაშხალებითა და სანთლებით მოუძღვოდნენ სეფერ თორას, სალოცავის მისადგომებთან ახალ სეფერთორას ხალხი და სეფერ თორები გამოეგებნენ და მხიარულებამ ჯერ სალოცავის ეზოში, შემდეგ კი შენობაში გადაინაცვლა მხიარული სიმღერით და ცეკვით უვლიდნენ გარს დარბაზს.



ამ სიხარულის გასაზიარებლად ბეით ქნესეთში მხოლოდ ებრაელები არ იყვნენ მოსულნი – აქ გახლდნენ სხვა ეროვნების და აღმსარებლობის ადამიანები, პოლიტიკოსები, მასმედია, ის ადამიანები, ვინც ებრაელი ერის პატივისცემამ მოიყვანა სალოცავში და ისინიც, ვისაც უბრალოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სურდათ.

მოზეიმე ხალხი მეორე სართულზე, თებასთან შეჩერდა და დარბაზში გაისმა ლოცვის ხმა, ყველა ერთად ლოცულობდა.

ესტრადის ვარსკვლავებმა: თემურ წიკლაურმა, მერაბ სეფაშვილმა, ჯემალ სეფიაშვილმა დღესასწაული სიმღერით მიულოცეს ხალხს. იმღერეს ავთო ქოსაშვილმა და მიშა კოკიელოვმა.

და დარბაზში პატივისცემის გამომხატველი სიჩუმე ჩამოვარდა, ეს სიჩუმე მოგვიანებით დაარღვია შეძახილებმა: „მიშა" „მიშა" „მიშა"- დარბაზში მოზეიმეთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეუერთდა.

საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მორწმუნე ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარე **შალვა ქოსაშვილი** მიესალმა.

მიკროფონთან მიდის საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი:**

*– შალომ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ყველას მოგესალმებით! საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ამაყობს თავისი წარსულით და აწმყოთი, ის, იმ იშვიათ ქვეყანათაგანია, რომელსაც ყოველთვის უყვარდა და პატივს სცემდა ებრაელ ერს, მის სარწმუნოებას. საქართველო პატივს სცემს არა მხოლოდ ებრაელ ერს, სხვა ერის შვილებსაც, საქართველოში ცხოვრობენ ოსები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყველანი ჩენი ქვეყნის შვილები ხართ. ყველაზე უძველესი მკვიდრი ჩვენი მიწისა ქართველებთან ერთად ებრაელი ერია. არ არსებობს ჩვენს შორის გაყოფა და სიტყვა "ჩვენ" და „თქვენ". ჩვენ ყველა ერთად ვართ „ჩვენ", ეს ქვეყანა გვეკუთვნის ყველას. როცა ისრაელში ვიყავი, ნათლად დავინახე რას ნიშნავს საქართველოდან წასულთათვის საქართველოს სიყვარული, მათ შეასრულეს წინაპართა დანაპირები და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ თან საქართველოს სიყვარული წაიღეს.*

*ცოტა ხნის წინათ გახლდით ონში, ონი გამორჩეული იყო ებრაელთა სიმრავლით, ახლა მხოლოდ 7-8 ოჯახია დარჩენილი. ყველასთვის ცნობილია, ლაილაშის უძველესი თორა. ეს ძალიან დიდი რამეა. ამასთან ისიც მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კვლავ უბრუნდებიან ებრაელები, 700 ებრაელი უკან ჩამოვიდა, წინა ხანუქაზე უფრო ცოტანი იყავით, ახლა მეტი ჩანხართ. თქვენ, საქართველოში მცხოვრებმა და ისრაელში საქართველოდან წასულმა ებრაელებმა, მინდა იცოდეთ, რომ სახლი გაქვთ აქ, საქართველოში და იქ ისრაელშიც, თქვენს შვილებს შეუძლიათ ისწავლონ საქართველოშიც და ისრაელშიც. საქართველოს კონსტიტუციიის თანახმად, გაქვთ ორმაგი მოქალაქეობის საშუალება.*

*რამდენიმე ხნის წინათ სტუმრად იყო ჩამოსული ისრაელელი ჟურნალისტი, რომელმაც მითხრა, რომ დაბადებული და გაზრდილი იყო ისრაელში, მაგრამ მთელი ცხოვრება იდენტურობას ვეძებდიო, ჩემი წინაპრები საქართველოდან წავიდნენ ისრაელში და მსურს რომ საქართველოს მოქალაქეობა მივიღოო, ჩვენ მას მივანიჭეთ საქართველოს მოქალაქეობა, ეს ფაქტი მეტად ამაღელვებელი იყო ჩემთვის. ეს მეგობრობის კიდევ ერთი ხიდია საქართველოსა და ისრაელს შორის, ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მსგავსია თავისი პრობლემებით, ტემპერამენტით. ჩვენმა ერებმა დიდი გაჭირვება გამოიარეს, ჩვენი ვალია ეს ხიდი უფრო გავამაგროთ, ტურიზმი უნდა განვავითაროთ. შარშან ბევრი ტურისტი მიიღო საქართველომ, მინდა მათ იცოდნენ, რომ საქართველო მათთვის ყველაზე კომფორტული ადგილია დასასვენებლად. იზრდება ისრაელის ინვესტიციები საქართველოში, რადგან მათ იციან, რომ საქართველო საიმედო ქვეყანაა.*

*მახსოვს, ისრაელში ყოფნისას შეხვედრა გაგვიმართეს სასტუმრო „კინგ დავითში", სადაც პატარა ბავშვები ქართულ ცეკვებს ასრულებდნენ, ის ბავშვები*

# ნაჩუქარი დღესასწაული ემატება

არაფრით განსხვავდებოდნენ სხვა ბავშვებისაგან, თუმც, იყო ერთი ფაქტი: ბევრმა მათგანმა არც იცოდა ქართული ენა, მაგრამ სასიხარულოა, რომ ქართულ ტრადიციებს აქედან ჩასული ებრაელები არ ივიწყებენ.

მოგესალმებით კიდევ ერთხელ თქვენს სამშობლოში და მოგილოცავთ დღევანდელ დღეს.

ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ბადრი პატარკაციშვილი:**

– ბებიაჩემი ყოველთვის ასე ლოცულობდა: მიეცი მთელ ქვეყანას ყველაფერი და ცოტა ჩვენცო, მინდა ამ წმინდა ადგილიდან მივულოცო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესს და უნეტარესს ილია II აღსაყდრების დღე და ასე გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა ქართველი ერისადმი. ვულოცავ ებრაელ ერს დიდ დღესასწაულს და თორის შებრძანებას. ეს წელი უნდა იყოს ერთმანეთის მხარდაჭერის წელი, ჩვენ ერთად დგომით გავაბრწყინებთ საქართველოს.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **შაბთაი ცური:**

– თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტო, ბატონო ბადრი, პატივცემულო მთავრობის წევრებო, ძვირფასო კოლეგებო, ქალბატონებო და ბატონებო! თითოეულ ებრაელს ვულოცავ ხანუქის დღესასწაულს! მოხარული ვარ, რომ ებრაელი ერისათვის ამ მნიშვნელოვანი ზეიმის მოსალოცად დღეს სალოცავში საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ. ჩვენთვის დიდი პატივია ის, რომ ხანუქის პირველ სანთელს დღეს ბატონი მიხეილ სააკაშვილი აანთებს. ეს ფაქტი ქართველი და ებრაელი ერების მრავალსაუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის ნათელი დასტურია. უფრო მეტიც, ეს არის გამოხატულება



იმ დიდი პატივისცემისა, რომელსაც საქართველოს ებრაელობა მუდმივად გრძნობს როგორც მთელი ქართველი ხალხის, ისე მისი ხელისუფლებისაგან. ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ საქართველოს პრეზიდენტს დაბადების დღეს და მეორე ვაჟის დაბადებას! ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო მიხეილ! ძვირფასო მეგობრებო, დღევანდელი დღე საქართველოს ებრაული თემის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით არის აღსანიშნავი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი თბილისის დიდ სალოცავს საჩუქრად გადასცემს სეფერ თორას. ებრაელი ერის სულიერი ერთიანობიდან გამომდინარე, ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო საქართველოს ებრაული თემის, არამედ მთელი ებრაელი ერის ცხოვრებაში. ებრაული თემის სულიერებაზე ზრუნვა საშვილიშვილო საქმეა და ნება მომეცით ამისათვის ბატონ ბადრის განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო.

ძვირფასო მეგობრებო, როგორც სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების, სინათლის და სამართლიანობის ზეიმი, ხანუქა, ებრაელთათვის ერთ-ერთი ყველაზე მხიარული დღესასწაულია. ეს არის ებრაელი ერის მამაცობისა და სულიერი სიმტკიცის ზეიმი. სიხარულს, სიტკბოსა და სიკეთეს გისურვებთ! მუდამ და ყველგან გინათებდეთ გზას ხანუქის სანთლების შუქი!





გამომსვლელების შემდეგ კურთხევანი წარმოთქვეს: საქართველოს მთავარმა რაბინმა **არიელ ლევინმა**, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა **ავიმელეხ როზენბლატმა** და „ხაბადის" წარმომადგენელმა საქართველოში, რაბინმა **აბრამ მიხელაშვილმა**. არიელ ლევინმა წმინდა ენაზე დალოცა საქართველოს პრეზიდენტი, საჩუქრად დავით მანაშეროვის ხელნაკეთი თასი გადასცა და პირობა ჩამოართვა, რომ ამ თასიდან მხოლოდ ერთიანი საქართველოს სადღეგრძელოს დალევდა.

და კვლავ ლოცვის ხმა ისმის. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ანთებს ხანუქის პირველ სანთელს. მიხეილ სააკაშვილი უკვე მესამე წელია ანთებს ხანუქის პირველ სანთელს (პირველად – 2003 წ. ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რივკა ქოენის რეზიდენციაში, მეორედ 2004 წ. ოპერისა და ბალეტის თეატრში).

ხანუქის სანთლები აანთეს: საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ბადრი პატარკაციშვილმა,** ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **შაბთაი ცურმა,** „ხაბადის" წარმომადგენელმა საქართველოში **აბრამ მიხელაშვილმა,** სალოცავის გაბაიმ **შალვა ქოსაშვილმა,** იერუსალიმის „ჯოინთის" რეგიონალურმა კურატორმა ამიერკავკასიაში **მეირ ზიზოვმა, შალვა თეთრუაშვილმა,** ისრაელის საკონსულოს პირველმა მდივანმა **მიხეილ ბარკანმა** „სოხნუთის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელის **დოვ პიკულინის** სახელით – **ვლადიმერ კრიხელმა.** ქოენმა **რაფაელ მესენგისერმა** პრეზიდენტს დაბადების დღე და შვილის – ნიკოლოზის შეძენა მიულოცა.

სალოცავში ცერემონიის დასრულების შემდეგ ახალგახსნილ ქაშერ რესტორანში „ძმათა"დარბაზობა გაიმართა. აქ სხვა სტუმრებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ბადრი პატარკაციშვილი**, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **შაბთაი ცური** იმყოფებოდნენ. დარბაზობაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართველი და ებრაელი ხალხის უნიკალურ მეგობრობას.

ნინო ლომია
ნატო პაქსაშვილი

რედაქციისაგან: 19 ნოემბერს თბილისის ბეით ქნესეთს სეფერთორა გადასცა ყოფილმა თბილისელმა, ამჟამად ნიუ-იორკში მცხოვრებმა თემურ იოსებაშვილმა. ეს სიხარული არ განელებულიყო, რომ ბადრი პატარკაციშვილმა ასეთი საჩუქარი გაუკეთა თბილისის ებრაელობას. ეს ორი ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს ჩვენს ერთიანობაზე — ჩვენ შესაძლოა, ვიყოთ სხვადასხა ქვეყნებში, სხვადასხვა კონტინენტებზეც კი, მაგრამ გვაერთიანებდეს რწმენისადმი ერთგულება, მშობლიური ქალაქის, ჯამაათის პატივისცემა, სიყვარული. ეს ერთობ ძვირფასი, გასაფრთხილებელი განძი წინაპართაგან მოგვდევს და ჩვენს ღირსებაზე მეტყველებს. ეს ფაქტი, ქართველ ებრაელ ბიზნესმენთა ასეთი ყურადღება სათემო პრობლემებისადმი, იმაზეც მეტყველებს, თუ რაოდენ საინტერესო ახალი რეალობა შეიქმნა საქართველოს ებრაელობაში, როგორც ჩანს, ბიზნესმენები გამოხატავენ მზადყოფნას საზოგადო საკითხების მოგვარებისა, რაც თემის ლიდერებს გააზრებულ მოქმედებას კარნახობს.და კიდევ ერთი, არანაკლებ სასიამოვნო გარემოება: თბილისის ებრაელობა ღონიერდება, ძლიერდება.

საქართველოს ებრაული თემის ყოველთვიური გაზეთი

# ქალი, მრავალეროვანი საქართველო, მზერა მომავლისაკენ

19 დეკემბერს „ჰილელი თბილისის" დირექტორის მორის კრიხელის თაოსნობით თბილისს საერთაშორისო ებრაელ ქალთა ორგანიზაცია „კეშერი" ეწვია.

ეს ორგანიზაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 1994 წლიდან ფუნქციონირებს და 150 ქალთა ჯგუფს აერთიანებს. „კეშერი" საქართველოში ფუნქციონირებად ქალთა ორგანიზაციებთან ერთად გეგმავს ახალი პროექტების: „ქალი, მრავალეროვანი საქართველო, მზერა მომავლისაკენ" განხორციელებას.

19 დეკემბრის საღამოს ებრაულ სათემო სახლში მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალბატონები ანუ ქალი ლიდერები.

მორის კრიხელმა სტუმრებს ებრაული სათემო სახლი დაათვალიერებინა და დარბაზისაკენ წარუძღვა.

მან შეკრებილ საზოგადოებას „კეშერის" დირექტორი სვეტლანა იაკიმენკა, სპეციალური პროგრამების ხელმძღვანელი ტატიანა მოლოტცოვა და ტრენინგ პროგრამების ხელმძღვანელი ნატალია სლაბადიანი წარუდგინა. ქ-ნმა სვეტლანამ ჩამობრძანების მიზანზე და ორგანიზაციის საქმიანობაზე ისაუბრა:

– პირველ რიგში დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მოხარული ვარ, რომ ამდენი ქალბატონი შეიკრიბა ამ დარბაზში. ჩვენი ორგანიზაცია რუსეთის ტერიტორიაზე 1994 წლიდან ფუნქციონირებს და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს აერთიანებს. „კეშერი" ნიშნავს კავშირს, ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ქალბატონი გაერთიანედეს ჩვენს ორგანიზაციებში და სხვადასხვა ქვეყნებთან ვითანამშრომლოთ. ჩვენი ძირითადი მისიაა ვითანამშრომლოთ ორგანიზაციებთან და ჩვენი წვლილი შევიტანოთ თემის აღორძინებაში, რათა მოისპოს შური, ძალადობა, ვისწავლოთ ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა და სიყვარული. ჩვენი ყველა პროგრამა ებრაულ სულიერებაზეა აგებული, ვეხმარებით ქალბატონებს უკეთ შეიცნონ თავიანთი თავი და სხვადასხვა მხრივ გაუკეთონ შესაძლებლობებს რეალიზაცია.

ამ სახლში შეკრებილი ქალბატონების სიმრავლე ადასტურებს, რომ თქვენ ემსახურებით ერს და აკეთებთ ბევრ კარგ საქმეს, ანუ აკეთებთ იმავეს, რასაც ჩვენი ორგანიზაცია. ჩვენი სურვილია ერთმანეთს გავუზიაროთ ცოდნა და გამოცდილება, რათა ჩვენი ერი და ქვეყანა უფრო გავაძლიეროთ.



**ნატალია სლაბადიანი:**

– მოხარული ვარ, რომ გხედავთ ამდენ ლამაზ ქალბატონს და თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე ვრწმუნდები, რომ საქართველოში ქალს ნამდვილად ღირსეული ადგილი უჭირავს. ჩვენი ორგანიზაცია ასწავლის ქალებს პროფესიონალურად იმუშაონ სხვადასხვა ჯგუფებთან, რათა საზოგადოებასა და ოჯახში თავი კომფორტულად იგრძნონ. საქართველო ორგანიზაციებით და მიღწევებით მდიდარია. ჩვენი სურვილია ეს აქცია არ იყოს ერთჯერადი და წლების მანძილზე ვითანამშრომლოთ. ჩვენს ორგანიზაციას უამრავი პროგრამა აქვს, ვფიქრობ, ყველა ორგანიზაცია აირჩევს მისთვის სასურველ და საინტერესო პროგრამას გავუზიარებთ ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას და საქართველო შევა იმ ქვეყნების სიაში, ვისთანაც „კეშერი" თანამშრომლობს.

ქალბატონები დიდხანს ეცნობოდნენ საქართველოში არსებული ორგანიზაციების საქმიანობას და მომავალი თანამშრომლობის იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

**ნატო პაქსაშვილი**

# კულტურის ცენტრის სემინარი



19-დან 21 დეკემბრის ჩათვლით თბილისის ებრაულ სათემო სახლში ისრაელის კულტურის ცენტრმა მომავალი მადრიხების მოსამზადებლად ლიდერობის სემინარი ჩაატარა.

სემინარი რეგიონალური გახლდათ და მასში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები: გორიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და ერევნიდან.

სემინარი 3 ტურისაგან შედგება. სამივე ტურში გამარჯვებულები მიიღებენ სპეციალურ სერთიფიკატებს. პირველი ტური თბილისში შედგა. მეორე და მესამე ტურები უკრაინასა და ისრაელში ჩატარდება.

19 დეკემბერს სემინარი საკონსულოს პირველმა მდივანმა მიხეილ ბარკანმა გახსნა, შემდეგ ხანიხებმა მადრიხებისგან დავალებები მიიღეს. სემინარის წამყვანი მადრიხები გახლდნენ ახალგაზრდები, რომელთაც გავლილი აქვთ სამივე ტური და დაჯილდოვებულები არიან სერთიფიკატებით. ესენი გახლდნენ: ილიკო კრიხელი და დავით ხოტოველი. მათ სემინარის მონაწილეებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს. მათთან ერთად მუშაობდნენ: ნინა აბგაროვა, ირაკლი ოჩიგავა და კულტურის ცენტრის ახალგაზრდული კლუბის დირექტორი დავით შაფთოშვილი.

სემინარზე განხილული იქნა შემდეგ საკითხები: განათლება ისრაელში, ისრაელის სახელმწიფო ლიდერები, დღესასწაულები ისრაელში, ისრაელის დემოგრაფია, ხსოვნის დღე, ალია, აბსორბცია.

შემეცნებით საინფორმაციო ლექციები წაიკითხეს: ლელა წიწუაშვილმა და საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლანტმა.

**ნატო პაქსაშვილი**

# „შეხვედრა ვოლონტიორებთან"

თბილისის ებრაული სათემო სახლში, „ხესედ ელიაჰუს" კლუბში პერიოდულად ტარდება ვოლონტიორებთან შეხვედრა.

29 დეკემბერს ხანუქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეხვედრა მოეწყო.

კლუბის ვოლონტიორებს, კლუბის დირექტორი ქ-ნი ლალი დავითაშვილი მიესალმა, მან ხანუქის დღესასწაული და კალენდარული ახალი წელი მიულოცა. ადმინისტრაციის სახელით ვოლონტიორებს მიესალმა და ხანუქის დღესასწაული მიულოცა დირექტორის მოადგილე პოლინა კრასიკი.

ქოენმა რაფაელ მესენგისერმა ხანუქის დღესასწაულზე ისაუბრა და ხანუქის სანთლები აანთო.

კლუბის ვოლონტიორმა მიშა სიმხაევმა სახანუქე სიმღერები შეასრულა და სხვა ვოლონტიორებიც აიყოლია.

კლუბის თანამშრომელმა თამარა კანსტანტინოვსკაიამ და „ხესედ ელიაჰუს" ფსიქოლოგმა ნაია კოკიელოვამ ვიქტორინა გამართეს. ვიქტორინაში მონაწილე თითოეული გამარჯვებულს წამახალისებელი პრიზები გადასცეს.

შეხვედრის დასასრულს კლუბის დირექტორმა ქ-ნმა ლალი დავითაშვილმა ვოლონტიორებს ადმინისტრაციის სახელით ტკბილეული დაურიგა.

**ნატო პაქსაშვილი**



# 26 საუკუნის ექო

ისრაელში, ქ. ხოლონში გერცელ ბაზოვის სახ. ქართულენოვანმა თეატრალურმა დასმა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით ხუბელაშვილია, ებრაული დღესასწაულების წინა დღეებში იმპროვიზებული დადგმა „26 საუკუნის ექო" სიმხა ადარის ლექსით დაიწყო.

დადგმის მთავარი თემა ქართულ-ებრაული თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი ისტორია გახლდათ, რომლის ძირითადი მიზანი ამ ისტორიის ახალგაზრდა თაობისთვის გაცნობა იყო.



აღნიშნულ საკითხზე იმდენი თქმულა და დაწერილა, თითქოს სათქმელი არაფერი დარჩა, მაგრამ რეჟისორმა დავით ხუბელაშვილმა და მსახიობთა ჯგუფმა (ქეთი ხისინი-გოგოლაშვილი, ლალი ბინსონი, ფრიდა-იდით ჯინჯიხაშვილი, რუბენ ქოსაშვილი, იაშა მოშიაშვილი, როლფ ჟვიტიაშვილი) მოახერხა ახლებურად, თანამედროვე შტრიხებით წარმოეჩინა ღირსშესანიშნავი მოვლენები.

თეატრალურ დადგმაში „26 საუკუნის ექო" რეჟისორმა გამოიყენა ჯემალ აჯიაშვილის ესსე „გამოიღვიძე, ქნარო". ნაწყვეტები ჩესი ლეზგიშვილის, ეუდა შალელაშვილის, ისაკ მეგრელიშვილის, სიმხა ადარის ნაწარმოებებიდან. საღამოს ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ხოლინის მუნიციპალიტეტთან არსებულ ისრაელის მემკვიდრეობის განყოფილებას და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს.

მაყურებლებს ებრაულ ენაზე მიესალმა ხოლონის მერის მოადგილე, პროფესორი შალომ დავითი, რომელმაც ისაუბრა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობაზე, მრავალსაუკუნოვან ისოტრიაზე, მაყურებლებს მიესალმა აგრეთვე ქ. ხოლინის მერი მოტი სასონი, რომლის გამოსვლაშიც იგრძნობოდა ქართველ ებრაელობასთან ახლო დამოკიდებულება და აღნიშნული თემის ღრმა ცოდნა.

სპექტაკლში მოთხრობილია ებრაელთა ისტორია ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ რაც ებრაელები საქართველოში დასახლდნენ, სპექტაკლში უხვად იყო ლექსები, მუსიკა, სევდიანი ღიმილი და ცრემლი. წაიკითხეს დოკუმენტური მასალები, წერილები.

– გადავურჩით ფარაონის მრისხანებას, განდევნებსა და ინკვიზიციას, პოგრომებსა და გაზის საკნებს, სკადებსა და არაფატის თვალების ბრიალს – ამიტომაც აღარავის დავაჩაგვრინებთ თავს, ჩვენ თავისუფლებისთვის ვართ დაბადებულნი! – ამ სიტყვებით დაასრულა თეატრალური დადგმა მთხრობელმა ფრიდა (იდით) ჯინჯიხაშვილმა.

აღსანიშნავია გერცელი ბაზოვის ქართულენოვანი თეატრის დირექტორის, მსახიობისა და რეჟისორის, ღირსების ორდენის კავალერის – დავით ხუბელაშვილის დაუღალავი მუშაობა. დასაფასებელია მსახიობთა ოსტატური თამაში, კომპოზიტორ რუბენ კაჟილოტის მიერ შერჩეული მუსიკა, ი. მოშიაშვილის გემოვნებით დამზადებული კოსტუმები და სიმონ ნათლიაშვილის ოპერატორული მუშაობა. სპექტაკლთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა რუბენ ენოხმა (ენუქაშვილი): „სპექტაკლმა საოცრად ამაღელვა, ეს იყო ტკივილისა და სიყვარულის წუთები, ტკივილისა – საქართველოში დარჩენილი საფლავებზე და სიყვარულისა – ამ საოცარი ქვეყნისა და ხალხისადმი. აფერუმ, ხელოვანს და მთელ შემოქმედებით დასს, რომელმაც ხელი შეუწყო მას დიდებული ჩანაფიქრის ხორცშესხმაში. რა თქმა უნდა ვერ დავივიწყებთ ავტორებს: ჯ. აჯიაშვილს, გ. ბათიაშვილს, ჩ. ლეზგიშვილს, ი. შალელაშვილს, ი. მეგრელიშვილს, ს. ადარს – რომელთა კალმის ნაღვაწიც ასე დიდებულად აჟღერდა ქართულ-ებრაული სცენიდან".

*„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე ამ ფაქტის თაობაზე მკითხველს ვრცლად უამბო ჟურნალისტმა იზოლდა კრიხელმა.*

**ნინო ლომია**

# კვალი ნათელი

ავსა და კარგსა კაცისას როდი ივიწყებს სოფელი!
*ვაჟა-ფშაველა*



საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეროვნული სულიერების სამსახურში, ქართველ მოღვაწეთა მხარდამხარ განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ქართველ ებრაელობას, მათ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ მრავალი ისტორიული მისიის შესრულება ხვდა წილად. 26 საუკუნის მანძილზე ებრაელობა ინაწილებდა ქართველი ხალხის მძიმე ხვედრს, ერთად ქმნიდნენ და ამკვიდრებდნენ ნდობის, თანადგომის ტრადიციებს.

ებრაელთა მიერ ქართველი ხალხის მიმართ გაწეულმა ერთგულებამ ისტორიული შედეგი გამოიღო, ქართველმა ერმა სიყვარულითვე უპასუხა მათ გულწრფელ დამოკიდებულებას და საუკუნეების მანძილზე მხარდამხარ იღწვოდნენ საქართველოს სასიკეთოდ.

დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „ებრაელები საქართველოში არც ერთ იმ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომლებიც ქრისტიანებს ჰქონდათ მონიჭებული".

ქართული სახელმწიფოს სამსახურში მდგომი ებრაელობა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „ოდესმე დიდებული და სახელგანთქმული ერი", ცდილობდა თავისი წვლილი გაეღო ჩვენს ქვეყანაში განათლების, ცივილიზაციის პროგრესის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის.

მრავალ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეთა შორის, ქართული მედიცინის ისოტრიაში, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ცნობილმა მეცნიერმა, მკვლევარმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა იოსებ ქურჩიშვილმა.

ბატონი იოსები მედიკოსთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში ეზიარა სამედიცინო განათლებას და თითქმის ხუთი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა ქართულ სამედიცინო მეცნიერებასა და პედაგოგიკას.

ი. ქურჩიშვილს საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიყვარული და ერთგულება მშობლებმა შთაუნერგეს. პატარაობიდანვე ეზიარა ქართულ სულიერებას, მის ისტორიას, კულტურას. თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – „სოლოლაკში" გაიარა მისმა ბავშვობამ, სიყმაწვილემ, სკოლის წლებმა. დედაქალაქის ამ უიშვიათესი ტრადიციის მქონე ნაწილში, სადაც ერთმანეთის გვერდით დგას ქართული სიონი და სინაგოგა, მეჩეთი და სომხური ეკლესია. სწორედ აქ ჩამოყალიბდა იოსებ ქურჩიშვილის სწრაფვა, თავდადებით ემსახუროს იმ ქვეყანასა და ერს, რომელმაც განუზომელი თანადგომა გამოუცხადა ებრაელთა მოდგმას.

ნიკო ნიკოლაძე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ კოჰორტის აღიარებული წარმომადგენელი იყო, რომელიც ზედმიწევნით სამართლიანად აფასებდა საქართველოში მცოხვრები ეროვნული უმცირესობების დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ. მისი შეფასებით: „თუ ებრაელი ყმაწვილი ხეირიან განათლებას მიიღებს, ისინი ძმურად გამოგვადგებიან ჭირშიც და ლხინშიც".

და მართლაც, სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ ი. ქურჩიშვილი ჭირშიც და ლხინშიც ქართული კულტურის, ეროვნული სამედიცინო აზროვნების ერთგული და თავგამოდებული მსახური იყო მთელი ცხოვრების მანძილზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საინტერესოდ წარიმართა მისი მოღვაწეობა. ბატონი სოსო იყო მკურნალი ექიმიც და ჯანდაცვის ორგანიზატორიც, მკვლევარიც და პედაგოგიც, კათედრის გამგეც და ახალ ნოვატორულ მიმართებათა პროპაგანდისტიც. მისი შემოქმედებითი აზროვნების მასშტაბურობა თავისუფლად სწვდებოდა ყოველივე ნოვატორულს. ნიჭიერებითა და შრომისუნარიანობით გამორჩეული ახალგაზრდა სწრაფად იმკვიდრებდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე ინტერესსა და საყოველთაო აღიარებას.

მე, წილად მხვდა დიდი პატივი და ბედნიერება, მისი სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ვყოფილიყავი თანამშრომელი და წარმემართა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობა იმ კათედრაზე, რომელსაც ბ-ნი იოსები ხელმძღვანელობდა. ეს იყო ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრა.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, დახელოვნების ინსტიტუტს მინიჭებული ჰქონდა საკავშირო სტატუსი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროფესიული დახელოვნების მიზნით თბილისში ჩამოდიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ზოგჯერ დემოკრატიული ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამედიცინო სამსახურის სხვადასხვა ობიექტს.

ყოველივე ამის გამო, განუზომლად დიდი იყო კათედრის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა მათთან შეხვედრის დროს.

ბატონი იოსები ოთხთვიანი ციკლის შესავალი ლექციებით ხვდებოდა მსმენელებს. ბუნებრივია, რომ სალექციო მასალაში, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყო დარგში არსებული პრობლემები და ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო მათ მოსაგვარებლად. ბატონი იოსების ლექციები კი იწყებოდა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი ისტორიის უნიკალური მასალების გადმოცემით, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის მიერ შექმნილი მასალების გადმოცემით, საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის მიერ შექმნილი ხალხური მედიცინის საგანძურების დემონსტრირებით, წარსული წიაღიდან დღემდე შემორჩენილი კლასიკური სამედიცინო დამწერლობითი ძეგლების ანალიზით და სხვ.

მსმენელთა აღფრთოვანება და ინტერესი განუზომელი იყო. ისინი ზოგჯერ მისგან დამატებით ლექციებსაც ითხოვდნენ, რაზეც ბ-ნი იოსები სიამოვნებით თანხმდებოდა.

მედიცინის ისტორიის მრავალი უცხოელი მკვლევარი სტუმრობდა საქართველოს. ქართული მედიცინის ისტორიისადმი ინტერესი განსაკუთრებით მდგომარეობდა იმაში, რომ მათ ისტორიული ძეგლების მონახულებითა და გაცნობით მიეღოთ განუზომელი სიამოვნება. ყინწვისის ფანასკერტელისეული სამოსახლოს, მცხეთის სამარხების, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმისა და სხვა ისტორიული ადგილების დათვალიერების ორგანიზატორი და წინამძღოლი ყოველთვის ბატონი იოსები იყო.

ერთხელ, გულწრფელად და მორიდებით შევეკითხე – „ბატონო სოსო როგორ ჩინებულად იცნობთ ქართული მედიცინის ისტორიულ წარსულს". მცირე პაუზის შემდეგ დინჯად მიპასუხა: „ეს ხომ ჩემი ქვეყნის ისტორიაა". მიუხედავად მისი ებრაული წარმოშობისა და ებრაელთა წარსულისადმი თაყვანისცემისა, ამ სიტყვებით მან ისეთივე მშობლიური განწყობა გამოხატა საქართველოს მიმართ, როგორც ისტორიული სამშობლოსადმი.

ქართული სამედიცინო პრესის 60 წელთან დაკავშირებით ბატონი სოსოსა და ჩემი ავტორობით გამოიცა ბროშურა „სამედიცინო პრესა საქართველოში". ამ ნაშრომის დანიშნულება პირველ რიგში იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა ქართული სამედიცინო პრესის ისტორიის უცნობი დეტალები, კერძოდ, სამედიცინო გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემის ისტორიული თარიღები, იმ მოღვაწეთა დამსახურება, რომლებმაც იტვირთეს მათი გამოცემა და რედაქტორობა, განსაკუთრებულად საინტერესო პუბლიკაციების მოკლე ანალიზი, იმდროინდელ გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის მიმოხილვა და სხვა. ბატონი იოსები მისთვის ჩვეული გულმოდგინებით და ინტერესით გაეცნო საარქივო მასალებს და ამ მიმართულებებით მრავალი სიახლე გაუზიარა მკითხველს.

გამორჩეულ თვისებათა შორის ბ-ნ იოსებ ქურჩიშვილს ახასიათებდა მეცნიერული კვლევისადმი მიზანსწრაფული ინტერესი. პროფესიის ღრმა ცოდნა და დიდი, ზოგადი განათლება მას საშუალებას აძლევდა, შეხებოდა სამედიცინო დარგში არსებულ ზოგიერთი პრობლემის ანალიზს. მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად მან თავი მოუყარა (კონკრეტული შეფასება მისცა და გამოსაცემად მოამზადა) 40 წლის მანძილზე საქართველოში ქართველ მედიკოსთა მიერ საავტორო უფლებით დამოწმებულ გამოგონებებს, ნოვატორულ წინადადებებს, ავადმყოფთა ფორმებისა და მეთოდების ამსახველ მეცნიერულ და პრაქტიკული შინაარსის მასალებს.

სამწუხაროდ მისი გამოცემა ვერ მოხერხდა ზოგიერთი ბიუროკრატის უვიცობისა და წინააღმდეგობის გამო. დღეს ეს თავმოყრილი მდიდარი მასალა ისტორიის კუთვნილებაა და ბ-ნი იოსების არქივში ინახება.

კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი იოსებ ქურჩიშვილის ცხოვრებიდან. მას მიღებული ჰქონდა ფილოლოგიური განათლება, რაც თვალნათლივ იკვეთებოდა მის ყოველ სამეცნიერო-პრაქტიკულ თუ პუბლიცისტური ხასიათის წერილებში. ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესიულ დონეზე ფლობამ მას შესაძლებლობა მისცა, შემოქმედებითად ეთანამშრომლა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, სადაც მისი ავტორობით ხშირად იბეჭდებოდა მწვავე და პრობლემატური წერილები ისტორიულ თუ თანამედროვე, ყოფით თუ პროფილაქტიკურ თემატიკაზე.

პროფესორ იოსებ ქურჩიშვილის სახელი ბევრად არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული სამედიცინო აზროვნების ისტორიასთან.

ბ-ნი იოსები ოთხ ათეულ წელზე მეტხანს დაუღალავად ემსახურა ქართულ სამედიცინო საზოგადოებას. ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულებამ, ადამიანის, მოყვასისადმი სიყვარულმა და თანადგომამ, კეთილშობილებამ და პიროვნებათა მიმართ ბუნებრივმა კომუნიკაბელურობამ სახელი და პატივი მოუხვეჭა მას.

როგორც იტყვიან „მრავალისაგან მცირედი თუ აღიწერების", იოსებ ქურჩიშვილი სწორედ იმ დიდ საქმეებთან იდგა, რომელთაც ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სამედიცინო მეცნიერების, სამედიცინო კადრების დახელოვნების საქვეყნოდ აღიარებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასეთი გვახსოვს ის მის კოლეგებს, მოწაფეებსა და თანამოაზრეებს.

მომავალ, 2006 წელს ბ-ნ იოსებს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობა მზადაა, პატივი მიაგოს ჭეშმარიტი მოღვაწისა და ეროვნული სამედიცინო მეცნიერების მომამაგის ნათელ ხსოვნას.

**ჯანგირ მამალაძე**

***საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი***




## חדשות מישראל
## ისრაელის ამბები




חדשות מישראל
ისრაელის ამბები




### სასიხარულო ამბავი

როგორც ცნობილია, მიმდინარე თვეში პალესტინის ავტონომიაში არჩევნები ტარდება.

დეკემბრის მეორე დეკადაში აშშ კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხმების მაქსიმალური უმეტესობით (397 მხადამჭერი, 17 მოწინააღმდეგე) მოითხოვა, რომ ხამასი არ უნდა მონაწილეობდეს პალესტინის ავტონომიის არჩევნებში. ამავე რეზოლუციაში ავტონომიის ხელმძღვანელობა გააფრთხილეს: თუ პალესტინის ავტონომიის მთავრობის შემადგენლობაში აღმოჩნდებიან ტერორისტულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები, ეს ფაქტი ზეგავლენას იქონიებს აშშ დამოკიდებულებაზე პალესტინისადმი, კონკრეტულად კი პალესტინისადმი ფინანსურ დახმარებაზე.

რეზოლუციაში ნათქვამია: „ტერორისტული დაჯგუფებები, ისეთი როგორიცაა ხამასი არ შეიძლება დაშვებული იქნან ავტონომიის არჩევნებში, მანამ სანამ არ აღიარებენ ისრაელის როგორც ებრაული სახელმწიფოს არსებობის უფლებას, არ შეწყვეტენ წამქეზებლობას, უარს არ იტყვიან ძალადობაზე, არ განაიარაღებენ თავთავიანთ მებრძოლებს და არ დაშლიან ტერორისტულ ინფრასტრუქტურას. ხამასის მონაწილეობა პალესტინის მთავრობაში ზღუდავს აშშ შესაძლებლობას დაამყაროს კონსტრუქციული ურთიერთობა ავტონომიასთან და დაეხმაროს მას." აშშ კონგრესში ასეთი რეზოლუციის მიღება აიპაკის დიდი გამარჯვებაა. სწორედ იგი ეწეოდა კონგრესში ამ რეზოლუციის ლობირებას. იგი არც მალავდა სიხარულს ასეთი გამარჯვების გამო:

– დემოკრატიულ საზოგადოებაში ტერორისტების ადგილი არ არის, ხამასი და სხვა ტერორისტული დაჯგუფებანი კი ხელს უშლიან მშვიდობიანი, სტაბილური, დემოკრატიული პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას – განაცხადა აიპაკის წარმომადგენელმა.

ისრაელელებისათვის მოულოდნელი სიურპრიზი გახლდათ ხავიერ სოლანას განცხადება. იგი ეჭვქვეშ აყენებს ისეთ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან ევროკავშირის ურთიერთობის პერსპექტივას, რომელსაც არ სურს უარი თქვას ძალადობაზე და არ ცნობს ისრაელის სახელმწიფოს.

– ჩვენ გაგვიჭირდება დავეხმაროთ და მხარი დავუჭიროთ ასეთ ავტონომიას, ევროპის გადასახადის გადამხდელებს და ევრო პარლამენტის დეპუტატებს არ სურთ მხარი დაუჭირონ ასეთ პოლიტიკურ აქტივობას – თქვა ხავიერ სოლანამ.

### ახალი პარტია – „კადიმა"

როგორც ცნობილია, ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს თავისსავე პოლიტიკურ მოძრაობაში „ლიკუდი" შეექმნა პრობლემები ღაზის სექტორის დატოვებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგობა პარტიაში უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. შარონის ოპონენტთა ჯგუფს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ მეთაურობდა.

არიელ შარონმა მიიღო ერთობ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – იგი გამოვიდა პოლიტიკური მოძრაობა „ლიკუდიდან", – პარტიიდან რომლის ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ და რომელსაც ბოლო ათწლეულში მეთაურობდა.

არიელ შარონმა შეჰქმნა ახალი პარტია – „კადიმა" („წინ"). „ლიკუდის" ბევრი წევრი, ასევე „ავოდას" წევრები კადიმაში გადავიდნენ.

„ლიკუდის" თავმჯდომარეობისათვის ორი პოლიტიკური მოღვაწე – ბინიამინ (ბიბი) ნეთანიაჰუ და დღევანდელი ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალომი იბრძოდნენ. პარტიაში არჩევნების წინ ბიბი ნეთანიაჰუსა და სილვან შალომს თითქმის ერთნაირი შანსები ჰქონდათ. არჩევნების შედეგებზე დიდი ზეგავლენა იქონია ხმამ, რომელიც წინა დღეებში დაირხა: თუ ბიბი ნეთანიაჰუ დამარცხდება, პარტიას დატოვებსო.

პარალელურად მოხდა ერთი ფაქტი: არიელ შარონი მიკრო ინსულტით საავადმყოფოში მოხვდა.

ლიდერის სარბიელზე ბიბი ნეთანიაჰუ დაინახეს, იგი გახდა „ლიკუდის" ლიდერი.

სილვან შალომმა გამოაცხადა ბიბი ნეთანიაჰუსთან კონფრონტაციას არ ვაპირებ და მასთან ვითანამშრომლებო.

უფრო ადრე პარტიული პრაიმერიზი გაიმართა შრომის პარტიაში. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ლიდერი – პარტიის ერთ-ერთი მესაძირკვლე 82 წლის შიმონ პერესი და ისრაელის პროფკავშირული ლიდერი 52 წლის ამირ პერეცი. გაიმარჯვა ამირ პერეცმა. შიმონ პერესმა დატოვა პარტია „ავოდა". იგი „კადიმას" წევრი არ გახდა, მაგრამ ის კი განაცხადა არიელ შარონის ახალ პარტიას დავუჭერ მხარსო.

ისრაელის პოლიტიკური მიმომხილველები ლაპარაკობენ იმაზე, რომ მემარჯვენე არიელ შარონი მემარცხენეობისაკენ გადაიხარა, ხოლო მემარცხენე შიმონ პერესი მემარჯვენეობისაკენ, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იქმნება ახალი ცენტრისტული პარტია.

არიელ შარონმა პრეზიდენტ მოშე კაცავს ახალი ვადამდელი არჩევნების დანიშვნა სთხოვა.

ისრაელში ახალი საპარლამენტო არჩევნები 28 მარტს ჩატარდება.

„ლიკუდში" არჩევნების ჩატარების შემდეგ ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა: ჩემი ამოცანაა „ლიკუდი" მთავრობაში დავაბრუნოო, მაგრამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით ვრწმუნდებით, რომ ეს არც ისე იოლად დასაძლევი ამოცანაა, მითუმეტეს, რომ არიელ შარონის პოპულარობას მიკროინსულტმაც კი ვერაფერი დააკლო.

კითხვაზე, თუ ვის მისცემდით ხმას არჩევნები დღეს რომ ტარდებოდესო, საზოგადოებრიობის სიმპატიები ასე განაწილდა:

„კადიმას" უქადიან – 42 მანდატს
„ავოდას" – 22
„ლიკუდს" – 13
„შასს" – 8
„შინუის" – 5
„იჰუდ ლეუმი" – 5
„ისრაელ ბეითიენუ" – 4
„მაფდალი" – 4

ცოტა მოგვიანებით საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ინსტიტუტმა „ტელესკერმა" ჩაატარა ორი გამოკითხვა. პირველში იყო ასეთი ფორმულირება: „თუ შარონი არ არის „კადიმას" სიაში." მეორე: „კადიმას" სათავეშია ციფი ლივნი, ან ეჰუდ ოლმერტი. ვის დაუჭერდით მხარს?

პირველი ვარიანტისას მანდატები ასე განაწილდა:

„კადიმა" – 30
„ავოდა" – 27
„ლიკუდი" – 16
„შასი" – 8
„შინუი" – 7
„იჰუდ ლეუმი" – 6
„ისრაელ ბეითიენუ" – 4
„მაფდალი" – 5
იაადუთ ჰა-თორა – 5
არაბული პარტიები – 7
„მერეცი" – 5

მეორე ვარიანტის შემთხვევაში „ავოდა" წინ უსწრებს „კადიმას" (30) „კადიმა" კი ღებულობს 26 მანდატს

„ლიკუდი" – 16
„შასი" – 9
„შინუი" – 7
იჰუდ ჰა ლეუმი – 6
„ისრაელ ბეითიენუ" – 4
„მაფდალი" – 5
„იაადუთ ჰა თორა" – 5
არაბული პარტიები – 7
მერეცი – 5

**ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრი**

# მომავალი პრეზიდენტი ესაუბრება ლუბავიჩის რაბის

*ლიუბავიჩელი რაბინის კოროლ მაშიახის საუბარი მოშე კაცავთან 1992 წლის 15 იანვარს. (10 შვატი 5752).*

*ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცავი დაიბადა 1945 წლის დეკემბერში ქალაქ იაზდში, ირანში. 5 წლისა მშობლებთან ერთად ავიდა ისრაელში. სტუდენტობისას ჩაება პოლიტიკაში „ლიქუდში“. ამ პარტიისაგან გახდა ქნესეთის დეპუტატი. იცხაკ შამირის მთავრობაში ჯერ შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, შემდეგ კი – ტრანსპორტის მინისტრი. სწორედ ამ სტატუსში ესაუბრა იგი ლიუბავიჩელ რაბინს.*

**რაბინი:** ამასწინათ ჩემამდე მოაღწია უცნაურმა, ან უფრო ზუსტად, საშინელმა ხმებმა იმის შესახებ, რომ ისრაელის მიწაზე მყოფმა მთავრობამ აზრი გამოთქვა და გადაწყვიტა, ამ მიწის ნაწილი სხვას გადასცეს. ახლა რეალურად განიხილება ხუთწლიანი გეგმა, სახელად „ავტონომია“. თუმცა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობენ და რას უწოდებენ ამას, რადგან ყველა ეს საუბარი და პროექტი პირდაპირი დარღვევაა თორის აკრძალვისა „არ გაიცეს სადგომი“. ამისი აზრი იმაშია, რომ აკრძალულია ისრაელის მიწის ნებისმიერი ნაწილის გადაცემა არაებრაულ მფლობელობაში. ამგვარად, ამაზე თვით ლაპარაკიც კი ღმერთის გმობაა, მისი თორის, ისრაელის მიწისა და ამ მიწის სიწმინდის უარყოფაა.

ავტონომიის შესახებ ლაპარაკი – ეს არის პირველი ნაბიჯი ისრაელის მიწის ნაწილების გადაცემისა, თანაც მისი მცირე ნაწილის კი არა, ასევე დიდებისაც, ისეთებისა, როგორიცაა იუდეა, სამარია, ღაზა, ხევრონი, იერუსალიმი და ა.შ. ეს კი ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ებრაელთა ცხოვრებისათვის აშკარა საშიშროებას.

და, როგორც უკვე ითქვა, აქ აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, თუ რაზე ლაპარაკობენ ებრაელები და ან რას ფიქრობენ; არც იმას აქვს მნიშვნელობა, როგორ ახსნიან ისინი თავიანთ სიტყვებს; მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ როგორ აღიქვამენ ამას მსოფლიოს ხალხები. მათთვის კი გასაგებია, რომ ლაპარაკია, პროგრამაზე, რომლის შედეგადაც რეალურად მოხდება ებრაული მიწის ნაწილის სხვისთვის გადაცემა და შეიქმნება პალესტინის ავტონომია.

თქვენ ხომ იცით არაბული ენა? ჰოდა, ჰკითხეთ იქ მცხოვრებ არაბებს და დარწმუნდებით, რომ ისინი თვითონ ამბობენ, რომ სიტყვების – „ხუთწლიანი ავტონომია“ – რეალური ახსნა არის მათთვის ისრაელის მიწების ნაწილის გადაცემა სახელმწიფოს შესაქმნელად. და ამიტომ, ბუნებრივია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ახსნიან ამას ებრაელები, რადგან მთავარი ის არის, თუ როგორ უყურებენ ამას არაებრაელები.

„ავტონომიის“ გეგმაზე უკვე თვით ლაპარაკი – ეს ღმერთისა და ყოველივე სიწმინდის შეურაცხყოფაა. ის, რომ ისრაელის მიწაზე არიან ებრაელები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იცავენ თორასა და მცნებებს, ეს მათი პირადი ანგარიშებია მამაზეციერთან; მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ თვით ისრაელის მთავრობა ღია ომს უცხადებს ღმერთსა და მის თორას!

ჩვენ გვიხსნიან, რომ ლაპარაკია მხოლოდ თვითმმართველობაზე, რომ, ვითომ, არაბები უბრალოდ თვითონ განკარგავენ საკუთარ განათლებასა და ფინანსებს, თორემ საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვას კი არა! და რომ ეს მხოლოდ მცდელობის სახისაა და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი „დიპლომატიაა“ და აქ თავს შევიკავებ კამათისაგან, რადგან დიპლომატიაში თქვენ უკეთ ერკვევით. მოცემულ შემთხვევაში ხომ ლაპარაკი უბრალოდ დიპლომატიაზე არ არის? ღმერთმა დაიფაროს და, ისრაელის მიწების რეალურ გადაცემაზეა საუბარი, ხოლო ამ საკითხის ირგვლივ თვით მსჯელობაც კი ღმერთის შეურაცხყოფა, ღმერთის წინააღმდეგ გალაშქრება და თორის გმობაა! ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ დიპლომატიურ ხერხებსა და ხრიკებს გამოიყენებენ ებრაელები იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია მოგვაწოდონ.

რაც შეეხება გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ არსებობს რუსეთიდან რეპატრირებულთა აბსორგაციის პრობლემები და ამიტომ აუცილებელია ამ პროცესში შეერთებული შტატების მთავრობის მონაწილეობა, და აქედან გამომდინარე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მთავრობის აზრს, – ეს ხომ ყველაფერი, პირველი ნაბიჯია ისრაელის მიწების ნაწილის გაცემისა. ამის პირდაპირი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ თვითონ პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ყოველივე ამას აკეთებენ არა ებრაელთა რეაქციის შიშით და მათი ზეწოლის შედეგად. ეს ნიშნავს, რომ თუ მოგვიანებით ისევ გაჩნდება ზეწოლა, მაშინვე გაჩნდება საერთაშორისო რეაქციის საშიშროება, და ასე დაუსრულებლად, როგორც ეს წარსულში გვინახავს – როცა ზეწოლას ემორჩილებიან, ზეწოლა სულ უფრო იზრდება.

მინისტრი მოშე კაცავი: შარშან იყო წერილი პრეზიდენტ ბუშისაგან იმის შესახებ, რომ ის წინააღმდეგია პალესტინის სახელმწიფოს შექმნისა, წელს კი მხოლოდ ის დაწერა, რომ ის „მხარს არ უჭერს“ ასეთი სახელმწიფოს შექმნას, ე.ი. მნიშვნელოვნად შეცვალა პოზიცია.

რაბინი: თანაც ჩანს, რომელი მიმართულებით მოხდა ცვლილება.

წარმოუდგენელია, რომ ღმერთისა და თორის მოწამე ებრაელმა მონაწილეობა მიიღოს ასეთ საქმეებში და ხელი მოაწეროს მათ. და ამიტომ, უმჯობესი იქნება, ამ მთავრობამ შეწყვიტოს არსებობა და საერთოდ არ არსებობდეს ებრაული მთავრობა. ავტონომიის მთელი ეს გეგმა ხომ აბსოლუტურად მსოფლიო ხალხების ზეწოლის (როგორც ამას თვითონ პოლიტიკოსები აცხადებენ) ქვეშ განიხილება. ხოლო თუ მდგომარეობა ასეთია, მაშინ ჯობია, რომ ისრაელის მიწაზე, ღმერთმა დაიფაროს და, არაებრაული მთავრობა შეიქმნას. დაე მან გადაწყვიტოს თავდაპირველად რა უყონ ისრაელის მიწას. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ხომ არ იქნება ამ გადაწყვეტილების ქვეშ ებრაელთა ხელმოწერები.



თქვენ, რასაკვირველია, იცნობთ ბ-ნ მენახემ ბეგინს, რომელიც თავიდან არ ეთანხმებოდა კემპ-დევიდის იდეას და მტკიცედ იდგა ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს დათმობებზე წავიდა და, ამბობენ, რომ დღემდე ვერ უპატიებია საკუთარი თავისთვის ისრაელის მიწის ნაწილის დათმობა.

როცა ამას ღმერთის ურწმუნო ადამიანები აკეთებდნენ, რაღაცის გაგება კიდევ შეიძლებოდა; მაგრამ როცა მორწმუნე ადამიანების ხელმოწერებს ხედავ ისრაელის მიწების სხვათათვის გადასაცემ დოკუმენტებზე, – ეს ღმერთის სახელის შეურაცხყოფაა.

იცხაკ შამირს სწამს ღმერთი და ისრაელის მიწის სიწმინდე, ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ის, სწორედ რომ ის, დათანხმდა ისეთ გეგმაზე მსჯელობას, რომლის არსი ისრაელის მიწის ნაწილების გაცემაა.

ისრაელის მიწის უსაფრთხოებას მხოლოდ ღმერთი უზრუნველყოფს, და ამიტომ, თუ ებრაელები შესაფერისად, საჭირო სიმტკიცით მოიქცევიან, მაშინ საშიშროების ქვეშ აღარ დადგება ისრაელის უსაფრთხოება.

ჯერ-ჯერობით ლაპარაკი მხოლოდ ხუთ წელიწადზეა, რადგან ეშინიათ ხმამაღლა იმის განცხადება, რომ ისრაელის მიწის ნაწილების გაცემას აპირებენ. მაგრამ მათი მიზნები აბსოლუტურად ნათელია და მათში იგულისხმება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს მიწები გაიცემა. მე ვფიქრობ, შამირს ეს ჩემზე უკეთესად ესმის.

ისრაელის მიწასთან დაკავშირებით, შამირს ბევრი დამსახურება აქვს, დაწყებული მანდატის დროინდელი მოღვაწეობიდან, როცა ებრაელთა მიწებზე სხვა ხალხების ძალაუფლება ვრცელდებოდა, შამირი მათ ებრძოდა. ახლა კი თვითონ ლაპარაკობს ისრაელის მიწის ნაწილების სხვისთვის გადაცემაზე.

რეალურ მოქმედებათა შესახებ ჩემს აზრს რაც გააჩნია, ვიტყვი, რომ ყველამ უნდა დავინახოთ, როგორ მომენტალურად შეიცვლის აზრს შამირი და აღმოფხვრის ლაპარაკს ავტონომიასთან დაკავშირებით.

მე სულ ვიბრძოდი, რათა შამირის მთავრობა შექმნილიყო. და ისევე, როგორც ყველაფერი შესაძლებელი გავაკეთე მის შესაქმნელად, ასევე, თუ ისინი იმავე მიმართულებით გააგრძელებენ ლაპარაკს, მე, მენახემ მენდლი, ვიქნები პირველი, ვინც ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ შამირმა და მისმა მთავრობამ არსებობა შეწყვიტონ.

აქამდე შამირის მთავრობის წინააღმდეგი მხოლოდ ბატონი შიმონ პერესი იყო, მაგრამ თუ შამირი იგივე სულისკვეთებით გააგრძელებს საუბარს ავტონომიის შესახებ, მეც შამირის მთავრობის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩავდგები.

და თუ შამირს არ ძალუძს საერთაშორისო ზეწოლის გაძლება, მაშინ მან ღიად უნდა განაცხადოს ამის შესახებაც და იმაზეც, რომ აღარ შეუძლია მთავრობის მეთაურად ყოფნა!

წარსულში რამდენჯერმე მითქვამს, რომ თორაში აღწერილი შამირი არის ის მცენარე, რომელიც ქვებს შორისაც კი იზრდება. ბატონმა პრემიერ-მინისტრმაც კეთილი ინებოს და ზუსტად მიესადაგოს საკუთარ სახელს, როცა ისრაელის მიწების გაცემაზე იქნება ლაპარაკი. თუ ის ნამდვილად მტკიცე იქნება, სრულიად აღმოფხვრის მათ.

მოშე კაცავი: რაბინი არის ის, ვინც ეს მთავრობა დააყენა და ჩვენ გვსურს რაბინის ლოცვის გაგრძელება, რომელიც მთავრობაში სიწმინდეს შეიტანს.

რაბინი: როცა შამირი შეიტანს ნათელს ყველაფერში, რაც ისრაელის მიწასთანაა დაკავშირებული, ეს მას ძალას შეჰმატებს იმისათვის, რომ ზეწოლას გაუმკლავდეს.

მოშე კაცავი: დარწმუნებული ვარ, რომ შამირი მტკიცე იქნება.

რაბინი: აქამდე მტკიცე იყო, და ბუნებრივია, ჩვენ უნდა გავიგონოთ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდება ყველანაირი ლაპარაკი ავტონომიის გარშემო.

დარწმუნებული ვარ, თქვენ გადასცემთ ამას ყველაფერს ბატონ შამირს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ არ მიწყენთ, ამ თხოვნით რომ მოგმართავთ და ესოდენ უსიამოვნო მისიას გავალებთ. მაგრამ უნდა გადასცეთ მას ყველაფერი იმავე სიმკაცრით, როგორც მე მოგახსენეთ. რად მინდა შუაკაცის მიერ გადაცემული გზავნილი, თუ არა იმისათვის, რომ მან მთელი სისასტიკით არ გაიმეოროს ჩემი სიტყვები? თანაც ბოდიშს ვიხდი იმისათვის, რომ ამგვარი მძიმე სიტყვებით ვლაპარაკობდი. კაცმა რომ თქვას, ამ თემაზე კიდევ უფრო დაწვრილებითაც უნდა გველაპარაკა, მაგრამ გრძელი საუბრისათვის დრო აღარ გვქონდა.

დაე, მამაზეციერის სურვილი იყოს, რომ თქვენ კარგი ახალი ამბები გემცნოთ;

დაე, მხოლოდ ისრაელის მიწის სიწმინდესა და ებრაელი ხალხის შესახებ გველაპარაკოს!

სიკეთეს გისურვებთ!

# „ლეა“ შეხვედრებს აგრძელებს

8 დეკემბერს ებრაული სათემო სახლის დარბაზში საერთაშორისო ფონდმა „ლეამ“, ებრაელ ქალთა საბჭომ, ბავშვთა და ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა საზეიმო შეხვედრა მოაწყეს, რომელიც ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან მეგობრობას მიეძღვნა. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქართველი და ებრაელი საზოგადო მოღვაწენი.

დარბაზს ამშვენებდა საერთაშორისო ფონდ „ლეას“ პრეზიდენტის მარინე სოლომონიშვილის გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც შესრულებული იყო ებრაული ტრადიციების და ქართულ-ებრაული ურთიერთობების თემაზე.

ღონისძიება მარინე სოლომონიშვილმა გახსნა. მან მოხსენება ქართულად და ინგლისურად წაკითხა. ქართულ-ებრაულ მეგობრობაზე ისაუბრეს: ირინე კურატიშვილმა, ნინო პავლიაშვილმა, მანანა ჯოჯუამ და ინეზა ცომაიამ.



ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე ლექსები წაიკითხეს მედეა ჯანაშვილმა და ია ხანუქაშვილმა. ქართული, ებრაული და ინგლისური სიმღერები შეასრულეს: მარინე რეხვიაშვილმა, ბელა და ნინო მუმლაძეებმა და „მაზალ ტოვის“ პატარა აღსაზრდელებმა.

მარინე სოლომონიშვილმა სტუმრებს მანანა რეხვიაშვილის ბავშვთა სიმღერების წიგნი წარუდგინა.

დისკუსიაში გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ამ ორი ერის მეგობრობის განმტკიცებას, ებრაული თემისადმი პატივისცემას და მომავალი თაობებისთვის ძველი ტრადიციების გადაცემას.

**ნატო პაქსაშვილი**

# ბაგა-ბაღის ზეიმი

ქ-ნმა ნათელა პატარკაციშვილმა სააქციო საზოგადოება „მაუდის“ ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ცირკში მიიწვია, ეს ბავშვებისთვის დიდი დღესასწაული იყო, ბევრმა მათგანმა პირველად იხილა საცირკო სანახაობა. ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა და თანამშრომლებმა მადლიერება ამ წერილით გამოხატეს:

ქალბატონ ნათელა პატარკაციშვილს,

ამ პატარა წერილით გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ჩვენი ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერების გამო. საცირკო სანახაობა, რომელზეც მიწვეულები ვიყავით, ყველასათვის საინტერესო იყო, განსაკუთრებით კი პატარებმა იხალისეს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ რამდენიმე ჩვენს აღსაზრდელს იმ დღეს პირველად მიეცა საშუალება, ნამდვილი, ცოცხალი ცირკი ენახა. ბავშვები დღემდე უყვებიან ერთმანეთს იმ ლამაზი დღის შთაბეჭდილებებზე, რომელიც თქვენ აჩუქეთ.

ბაგა-ბაღის თანამშრომლებმა ქ-ნი ნათელა პატარკაციშვილი ბაღში საახალწლო ზეიმზე მიიწვიეს. პატარა აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა სტუმარს, რომელიც შვილიშვილი, ლიზიკო მაღრაძესთან ერთად მივიდა ლამაზი შეხვედრა მოუწყვეს. ქ-ნმა ნათელამ ბავშვებს საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები აჩუქა. ზეიმმა მხიარულად და შთამბეჭდავად ჩაიარა, ეს საახალწლო ზეიმი დიდხანს ემახსოვრებათ ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

# ვაიგაში

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

**არიელ ლევინი**



მას შემდეგ, რაც იოსებმა ბენიამინს აბგაში თავისი თასი ჩაუდო და მისმა წარგზავნილმა აღმოაჩინა ის ბენიამინის აბგაში, ძმებმა გლოვის ნიშნად ტანსაცმელი შემოიხიეს და ეგვიპტეში დაბრუნდნენ. იეჰუდამ, რომელმაც მამას პირობა მისცა ბენიამინს უვნებლად დაბრუნდებოდა, იოსებს შესთავაზა რომ ყველა ძმა ერთად ბენიამინის ჩათვლით მისი ყმა გახდებოდა ეგვიპტეში. მაგრამ იოსები უარზე იყო: „მხოლოდ ის იქნება ჩემი მონა ვისაც ჩემი თასი აღმოაჩნდა, დანარჩენებს შეგიძლიათ დაბრუნდეთ მამასთან.“ „და მიადგა, (ვაიგაშ) იეჰუდა იოსებს“ – ამ სიტყვებით იწყება თავი „ვაიგაში“. იეჰუდა მზადაა იოსებს ნორმალურად ელაპარაკოს, მაგრამ თუ ასე არ გამოვა . . .სიტყვა „მიადგა“ თანახში გამოიყენება როგორც საომრად მზადება. იეჰუდა ძმებთან ერთად მზადაა შეებრძოლოს მთელ ეგვიპტეს იმ შემთხვევაში, თუ იოსები ბენიამინს არ გაუშვებს. ამასთან მონად ბენიამინის ნაცვლად საკუთარ თავს სთავაზობს იოსებს. თავიდან იეჰუდა მონად დასარჩენად თორმეტივეს დარჩენას სთავაზობს იოსებს, მაგრამ მისი უარის შემდეგ მხოლოდ თავად სურს ბენიამინის მაგივრობა. იოსებისაგან უარის შემთხვევაში კი ისინი საომრად ემზადებიან. თავიდან თვინიერნი შემდგომ რატომ დაუპირისპირდნენ ასეთი შემართებით იოსებს? საქმე იმაშია, რომ ძმებმა იცოდნენ მათი ეგვიპტეში მომავალი განდევნის შესახებ. როდესაც გამჩენი აბრაჰამთან კავშირს სდებდა, უთხრა ამის შესახებ, ძმებმა კი ეს გადმოცემით გაიგეს. ამიტომ თასთან დაკავშირებული ისტორიის შემთხვევაში მათ გადაწყვიტეს, რომ დადგა გამჩენისაგან გადაწყვეტილი განაჩენის აღსრულების დრო, იწყება ეგვიპტის განდევნა და ისინი უკვე მონები იქნებიან. მაგრამ, როცა იოსებმა მათი წინადადება არ მიიღო მოინდომა მონად, მხოლოდ ბენიამინის დატოვება იფიქრეს, რომ ჯერ არ დამდგარა გამჩენისაგან მათი განდევნისა და მონობის დრო, რომ მხოლოდ ეგვიპტის მმართველს სურს მათი ძმის დამონება, რომლის დაბრუნებასაც შეპირდა იეჰუდა მამას.

როდესაც იოსებმა დაინახა, თუ როგორ იცავდნენ ძმები ბენიამინს, გადაწყვიტა ეთქვა, რომ მათი ძმა იოსები იყო. მონანიების შესახებ კანონში წერია, რომ ნამდვილი სრული მონანიება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ერთხელ ჩადენილ ცოდვის მდგომარეობაში, მეორეჯერ აღმოჩენდება და ღირსეულად მოიქცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან მხოლოდ სიტყვებით არ მოინანია დანაშაული. როცა იოსები, როგორც ეგვიპტის მმართველი ძმებს მკაცრად მოექცა, მათ დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ გამჩენისაგან ღებულობენ სასჯელს იოსებთან დაკავშირებით გამოჩენილი სისასტიკის გამო.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ექცეოდნენ ლეას შვილები იოსებს ცუდად. ის იყო, რომ იოსები იაკობის და რახელის შვილი იყო. ახლა კი იცავენ რახელის მეორე შვილს – ბენიამინს. და იმ მომენტში, როცა ის ხედავს, რომ ძმები, კერძოდ კი იეჰუდა, რომელმაც შესთავაზა ძმებს იოსების გაყიდვა, მზად არიან თავი გასწირონ ბენიამინისათვის, რახელის შვილისათვის, რწმუნდება, რომ ძმებმა ნამდვილად მოინანიეს ცოდვა. ახლა უკვე შეიძლება გაუმჟღავნოს ვინაობა, ახლა ძმებს უკვე ისეთი დიდი სასჯელი აღარ ემუქრებათ გამჩენისაგან. მე იოსები ვარ, გამოუტყდება იოსები ძმებს, და ისინი სიტყვებს ვერ პოულობენ, ვერაფერს პასუხობენ მას.

ჩვენი ბრძენები ამბობენ უბედურებაა ჩვენთვის საშინელი სასამართლოს დღე, დღე როცა გამჩენი გაგვასამართლებს. თუ ძმებს, ისრაელის ტომთა მამებს, არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ მათი უმცროსი ძმისათვის მაშინ, როცა მან სთქვა – „მე იოსები ვარ“, ჩვენ რაღას ვუპასუხებთ გამჩენს, როცა ის გვეტყვის „მე ღმ-რთი ვარ“. საქმე იმაშია, რომ როცა ძმები იოსებს ორმოში აგდებდნენ, მაშინ სთქვეს: „ვნახოთ რა მოუვა მის სიზმრებს. როდესაც მათ დაინახეს, რომ იოსების სიზმრები ახდა, მიხვდნენ, რომ ეს არ იყო მათი ძმის სიამაყის შედეგი და ეს იყო სწორედ მათი შეცდომა. სინამდვილეში სიზმრები წინასწარმეტყველური იყო. ახლა მათ დაინახეს ეს და აღარაფერი აქვთ სათქმელი. ასევე ვართ ჩვენ ყველანი. როცა ჩვენ ვცოდავთ, ვარღვევთ შაბათს, ან ჩვენს მოძმეებს ვტკენთ გულს, გამჩენმა ნუ ქნას, ყოველთვის ვპოულობთ გამართლებას ჩვენთვის. ვარღვევთ რა შაბათს, ვამბობთ, რა ვქნათ, იმისათვის რომ თავი ვირჩინო შაბათს უნდა ვიმუშავო, ვტკენთ რა გულს ახლობელს, ვამბობთ – დაღლილი ვიყავი, განერვებული. ჩვენ გვავიწყდება, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ზეცაში იწერება. და როცა გამჩენი გვეტყვის – „მე ღმ-რთი ვარ“, ჩვენ იოსების ძმების მსგავსად ვერაფერს ვუპასუხებთ. ჩვენ მივხვდებით, რომ ყველა ჩვენს ახსნას არავითარი ფასი არა აქვს, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ცუდი განზრახვაა, რომელიც ჩვენვე გვაბნევს. თუ შაბათს რაიმეს გამოიმუშავებენ, ვერაფერს მოიგებენ. ის ფული მათ დაეკარგებათ, ან ექიმებში დახარჯავენ. ახლობლებისათვისაც შეიძლებოდა მოგვეთმინა და არ გაგვენაწყენებინა და ა. შ.

იოსების ძმებისაგან განსხვავებით გვიანი იქნება მონანიება. მხოლოდ ამ სამყაროში შეგვიძლია ამის გაკეთება. მაშ, მოდით, გამჩენი გველოდება ყოველ ჩვენგანს.

# კაბალა: კანონი და მისტიკა ებრაულ ტრადიციაში

***(გაგრძელება)***

კაბალის კაცი ღმ-თან ექსპერიმენტებს არ ეწევა, არც ღვთაებრივი ბუნებით თვრება, რომელიც ასე სძლევს მისტიკოსს. კაბალის კაცი ღმ-თის წინაშე იღებს ვალდებულებას მისდიოს მის თორას. ხსნა, რომელსაც იგი შემოქმედისაგან ელოდება, სულაც არ ათავისუფლებს ადამიანურობისაგან, პირიქით: საშუალებას აძლევს მისი რეალიზებისა.

პასუხისმგებლობა, რომელსაც კაბალის კაცი თავის თავზე იღებს, არის პერსონალური, უნიკალური და უშუალო. და მაინც სათავეს იღებს შემოქმედსა და ისრაელს შორის საერთო, კარგა ხნის წინანდელ შეთანხმებაში. ასე რომ, ძველი კავშირი ადამიანის ნებით განახლდება. ეს კავშირი, აღთქმა, არის ბრით-თორა, ხოლო მისი პუნქტები მიცვები იგი მთელ ისრაელს ეხება, ასევე ყოველ ებრაელს, რათა „შესრულდეს სწორედ დღეს“. ასე რომ, ყოველი ებრალი არის ნაწილი ისრაელისა და მთელი ხალხის კოსმიურ მოღვაწეობაში მონაწილეობს. თორის არსებობა სამყაროს და ჯერ კიდევ ისრაელის შექმნამდე იყო დაგეგმილი. იგი გულისხმობს კოსმოსისა და ისრაელის შექმნას – „რომ არ არსებულიყო თორა, არც სამყარო შეიქმნებოდა“, „რომ არა ისრაელი, სამყარო არსებობას შეწყვეტდა“. სამყარო იმისთვის შეიქმნა, რომ კაცობრიობამ თორა გაითავისოს. მაგრამ მან არ მიიღო თორა და იგი წილად ხვდა ისრაელს – კაცობრიობის დიადი ოჯახის უფროს შვილს – პირველ ძეს, ისრაელის მაგალითს მისი ძმებიც მიჰყვებიან. თორა და ისრაელი შესაქმის პირობაა, რისი მიზანი და ამოცანებიც არის თორაში და გამოხატულია ისრაელში. ებრაელი ხალხის ამოცანა არა მსოფლიოს, მთელ სამყაროს წვდება.

თორა ასოებსა და აქცენტებშიც კი, როგორც კოსმიური კანონი, მოიცავს იმ ძალებს, რომელიც ბუნებას მართავს და როგორც ზნეობრივი კანონი მოიცავს პრინციპებს, რომლებიც ყოველი ებრაელის მორალს არეგულირებს და მიმართულია ადამიანის, ყოველი ადამიანის, ყოველი ხალხისადმი. თორა ფარავს ბუნებისა და მორალის სფეროებს, რომლებსაც ადამიანი განაცალკევებს. ისრაელის დამოწმების წყალობით, ისინი აღადგენენ თავიანთ ერთიანობასა და წონასწორობას ისევე, როგორც ეს იყო დაცემამდე. ამით ქრება სულისა და მატერიის განცალკევებულობა.

ასე რომ, კაბალის ჯგუფი არ არის ბუნებრივი წესრიგის მიღმა, პირიქით, იგი არის ბუნების სულდგმულება და სულის კონკრეტული ხორცშესხმა. თავად შემოქმედი აღწევს მიწიერ რეალობაში და ახდენს საკუთარი თავის „რეალიზაციას“, ხოლო ადამიანს ძალუძს აირეკლებოდეს ზეციურ სარკეში, ისე რომ არ სტოვებდეს დედამიწას. მიწიერ სამყაროში ადამიანი ახდენს ღმ-თან მსგავსების კულტივირებას და თანამშრომლობს მასთან: „ადამიანი მონაწილეობს შემოქმედის შემოქმედებით მოღვაწეობაში“. შემოქმედი თავის თავს აადამიანურებს ადამიანში, ადამიანი კი თავისთავს – ღმ-ში. ვითარცა მოშე, ყოველ ადამიანს ძალუძს ამაღლდეს, „ღვ-თის კაცის“ (და არა კაცი-ღმერთის) დონემდე, ღმ-თი კი არის ღმ-თი ადამიანისა, ისრაელისა, მსოფლიოსი (და არა ღმერთკაცი).

უმაღლესი და ადამიანური რეალობა ერთმანეთზეა დამოკიდებული. ღმ-თმა წინასწარმეტყველ ესაიას პირით თქვა: „შენ ხარ მოწმე ჩემი, მე კი – ღმ-თი“, ხოლო ბრძენმა რაბი შიმონ ბენ (ბარ) იოხაიმ ამ ფრაზას ერთი ძალზე მნიშვნელოვანი „თუ“ დაუმატა: „თუ შენ ხარ მოწმე, მე ღმ-თი“ დედამიწაზე ღმ-თის არსებობა იმდენადაა რეალური, რამდენადაც ადამიანი ღებულობს, მიიჩნევს ამას.

უზენაესი სამყაროს შექმნით თავის ზოგიერთ უმაღლეს პრივილეგიას ადამიანს გადასცემს. ღმ-თი მას უბოძებს გონებასა და თავისუფლებას, რამეთუ თავის დარად შექმნა იგი. ღმ-მა ადამიანი პარტნიორად აირჩია და სიყვარულით და ცოდნით დაიკავშირა. ამით ღმ-მა თავი ადამიანზე დამოკიდებულად გაიხადა, რამეთუ დედამიწაზე მეუფების დასამყარებლად ადამიანთან უნდა ითანამშრომლოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასა და ადამიანს შორის დისტანცია ქრება. შესაძლოა, ადამიანი ზეცისაკენ აღმავალ კიბეს ესწრაფვოდეს, მაგრამ იგი მაინც მიწას უნდა დაუბრუნდეს. კაბალის კაცი ღმ-თან მარტო არ რჩება და არავითარ შემთხვევაში არ ქმნის იმ მდგომარეობას, რომელსაც არაებრაელი მისტიკოსები უნიო მისტიკას – მისტიკურ შერწყმას უწოდებენ, როდესაც უარი უნდა თქვან თავიანთ შემეცნებაზე და აბსოლუტში უნდა ჩაიკარგონ. კაბალის კაცი, შემოქმედთან განუწყვეტელი კავშირის, მისკენ ლტოლვის მეოხებით მხოლოდ იმას ცდილობს, გახდეს ღვთის კაცი – „დვეკუთ“.

კაბალის კაცი თავის თავს ღმ-თს უკავშირებს, მაგრამ იგი აქტიურ არსებობას ამჯობინებს: არ იკარგება მასში, არ კარგავს თავის ინდივიდუალობას, გონებას იკრეფს, რომ არ დაარღვიოს შემოქმედის ბრძანებანი, რადგან მათზე უარის თქმა ნიშნავს უარი თქვა თავად ღმ-თზე. თორის დაწერიდან დღემდე კაბალის კაცმა შეინარჩუნა მეხსიერება და ყურადღებიანობა. თუმცაღა, ერთობ თავმოდრეკილად, მაგრამ მაინც ახსენებს თავის თავს, რომ ძეა მეფისა. ამით ძლიერდება როგორც პიროვნება და ფასეულიც ხდება.

დვეკუთი არ არის მეთოდი, არ არის ტექნიკა. ეს არის ცხოვრებისეული გზა. „გიყვარდეს ღმ-თი, შემქმნელი შენი, გესმოდეს ხმა მისი და ფოთოლივით მიეკარი მას“...

თუ თქვენ მკაცრად დაიცავთ ყველა იმ აღთქმას, რომლის დაცვაც გიბრძანეთ, რათა გიყვარდეთ ღმ-თი, შემქმნელი თქვენი, რათა იაროთ მისი გზით და ფოთოლივით მიეკრათ მას“.

თორის თვალთახედვით, დვეკუთი ეს არის შემოქმედისა და ადამიანის ერთობ დინამიური ურთიერთობა. დვეკუთი ადამიანს ღმერთთან სიყვარულით აკავშირებს. ღმ-თის კანონის შესრულება ამ სიყვარულს სრულყოფილს ხდის. დვეკუთი ცხოვრებისეული გზაც არის და ცხოვრების პირობაც, ხოლო რეალიზაციის გზაზე ცხოვრების აქტად გარდაიქმნება.

ყოველი მისტიკოსის, რომელსაც სწამს პირადი ღმ-თი, როგორც უმაღლესი პიროვნება, უმთავრესი ამოცანაა მთლიანად დაემორჩილოს ღმ-თს სიყვარულში. „ღმ-თი არის სიყვარული და სიყვარულის ობიექტი“ ხაზს უსვამს მე-19 საუკუნის ებრაული წარმოშობის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი მისტიკოსის რელიგიის აპოლოგიაში. პირადი ღმერთის ყოველგვარ რელიგიურ რწმენას მივყავართ ღმ-თის სიყვარულთან. ამაშია რელიგიის ზოგადი მისტიკური საფუძველი, რომელიც განაპირობებს აბსოლუტის რწმენას და ადამიანისა და ღმ-თის ურთიერთობას. თუ სუფთა მისტიკაში შერწყმის სიყვარული ადამიანს ართმევს დამოუკიდებლობას, „რელიგიური“ სიყვარული პირიქით – ურთიერთობას ამყარებს ღმერთთან. კაბალაში ღმ-თის სიყვარულს არ შეიძლება ვუწოდოთ არც სპეციფიურად მისტიკური და არც რელიგიური. იგი ურთიერთობის მისტიკური შუქითაა განათებული, მაგრამ ფლობს გაცნობიერებული სიყვარულის ფასეულობას.

თორაში მამაკაცისა და ქალის კავშირი გამოხატულია ზმნით „დავოკ“, მიტმასნება და ზმნით „იადა“ – შეიცნო. იგივე ზმნა „დავოკ“ აღნიშნავს ადამიანის კავშირს ღმერთთან, იადა კი დიდ პირად კავშირს ადამიანსა და მის მეუფეს შორის.

ურთიერთობის როგორც პირველ, ასევე მეორე სახეობაში ორი პიროვნება ერთმანეთზე ისე ახდენს ზეგავლენას, რომ კარგავს თავის სტრუქტურას, ინარჩუნებს ავტონომიას, მაგრამ ყოველ მხარეს უნდა ესმოდეს მეორისა: „იადა“ „შეცნობა“ მიუთითებს გაგებაზე, რომელსაც მოსდევს აქტიური ურთიერთობა, დვეკუთი.

ეს მოსიყვარულეთა შემოქმედებითი კავშირი – ყოველი ქმნილება კი სიყვარულითაა შობილი და იგი თავის თავში მოიცავს არჩევანის აქტს. ადამიანი შემოქმედის ნებისაკენ უნდა იხრებოდეს, ხოლო შემოქმედი თავის მხრივ პატივს მიაგებს შექმნილის ნებას. მაგრამ ზოგიერთი მისტიკოსი მიიჩნევს, ადამიანმა არ უნდა უარყოს საკუთარი მე: „იავარქმნა, არაფრად ჩააგდო, დაჰკარგო საკუთარი მე, გადაიქეცი მისი სიყვარულის ობიექტად ისე, რომ მისი ინტერესები საკუთრად იქციო. შემოქმედის ნებასთან გაერთიანებით უნდა გაძლიერდეს ადამიანის ნება, სურვილი. სწორედ ადამიანის ნების ასეთი გაძლიერება აქვს მხედველობაში რაბან გამლიელს, როცა „ვირქეი ავოთ“ გვირჩევს „მისი ნება აღასრულა როგორც შენი, რათა მან შენი ნება აღასრულოს, როგორც თავისი. მის ნებასთან შედარებით შენი ნება გახადე მცირე, რათა მან დაამციროს სხვათა (შენთვის ვნების მოყენების მსურველთა) ნება“.

დვეკუთი ადამიანის მოქმედებებით გამოიხატება. იგი იწყება შემოქმედის სურვილით და მთლიანი რეალიზაციისაკენ მიდის, მაგრამ ეს არ არის მგრძნობელობითი, პირწმინდად ემოციური სიყვარული. ისეთი რომ იყო, სპირიტუალიზმად გარდაიქმნებოდა. ღმ-თან შეხვედრა, ქვემოთ დედამიწაზე ეწყობა. ის თავად ინებებს ადამიანთან ჩამოსვლას. ადამიანი კი, ვითარ გამოსუფთავებული, განთავისუფლებული ჭურჭელი, ხდება შემძლე მიიღოს ღვთის წყალობა. ადამიანის სიხარული, რომელიც მოქმედებაში გადმოიღვრება, გამოიხატება შემოქმედის აღთქმათა შესრულებაში, მორჩილებაში.

სიხარული სიყვარულის, ქმნადობის, სიცოცხლის სიმპტომია. იგი სუფთაა, ნიშანია უანგარობისა, მოწმობს არა ეგოისტურ სიყვარულზე. ეს კი პიროვნულად აძლიერებს ორივე პარტნიორს. „ღ-თი ხარობს თავის მიერ შექმნილით, ადამიანს კი შემოქმედი ანიჭებს სიხარულს“. ებრაელი მისტიკოსები ასკეტურ ყოფას თვითგვემის მიზნით არ ეწევიან. მათი ასკეტიზმის მიზანია თვით აღზრდა – ადამიანი თავშეკავებულობას სწავლობს განსაკუთრებით, საჭმელ-სასმელში. იმის ნაწილი, რაც თავის მიწიერ, ადამიანურ არსებობას – თავის იმპულსებს აკონტროლებს და საკუთარ თავზე სიწმინდის ზრდისთვის იმ მორალური წესრიგის თანახმად გამოიყენება, რომელიც მხედველობაში აქვს ავტორს.

ამ სიწმინდის რეალიზაცია კი მხოლოდ ცხოვრებაშია შესაძლებელი: იყო შემოქმედისთვის ძვირფასი და გიყვარდეს იგი – სიცოცხლის წყარო; ხარობდე იმით, რასაც შემოქმედი გაძლევს, ცხოვრობდე მისი კანონით და ამით ამაღლებდე შენი სიცოცხლის ფასეულობას, მისი პრეროგატივაა გადაწყვიტოს რა გვჭირდება ჩვენ და რა უნდა ვაკეთოთ. როცა თორა მოითხოვს შემოქმედს დავუკავშიროთ ცხოვრება, მიზნად ისახავს სწორედ, მაგრამ გადაჭარბების გარეშე ვასრულებდეთ მის მოთხოვნებს, კანონს, რომელმაც უნდა წარმართოს ჩვენი ცხოვრება. წარმართოს იმისათვის, რომ ყოველდღე ვაღწევდეთ ღმ-თან სიახლოვეს. „ახლა კი, ისრაელო, ისმინე ბრძანებანი და კანონი, რომლებსაც გაძლევ შესასრულებლად, რათა ცოცხლობდეთ, მოხვიდეთ და დაეუფლოთ ქვეყანას, რომელიც ღმ-თი, უფალი თქვენი მამებისა, გაძლევთ თქვენ! არა-რა მიუმატოთ იმას, რაც მე გიბოძეთ და არა-რა დააკლოთ, რათა დაიცვათ თქვენი შემოქმედის აღთქმანი, რომელთა შესრულებასაც გიბრძანებთ მე... და თქვენ, ერთგულნი თქვენი ღმ-ისა, შემოქმედისა, ცოცხალი ხართ დღემდე.

თარგმნა **გ. ბათიაშვილმა**

***(გაგრძელება იქნება)***

# „ერო ძლიერო მოგილოცავ წმინდა ხანუქას"

„ერო ძლიერო მოგილოცავ წმინდა ხანუქას" ჯელირა აგლიაძის ამ სტრიქონებით გახსნა კლუბ „26 საუკუნის" (რომელსაც წელს 7 წელი შეუსრულდება) სახანუქე შეხვედრა 26 დეკემბერს კლუბის დიასახლისმა ზაირა დავარაშვილმა. მან შეკრებილ სტუმრებს, რომელთა შორის ქართველი და ქართველი ებრაელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჯამაათის წევრები და ისრაელელი სტუმრები ცახი ხორეში და ბენი საარი გახლდნენ მიულოცა ხანუქის დღესასწაული, თბილისში ქაშერის რესტორნის გახსნა და სალოცავში სე-



ფერ თორის შებრძანების დღესასწაული.

ქ-ნმა ზაირამ წაიკითხა ამონარიდი მაკაბელთა I წიგნიდან და კლუბის სახელით ებრაულ სახლს მაგენ დავიდის ფორმის ახალი ხანუქია გადასცა. ხანუქის დღესასწაული საზოგადოებრიობას მიულოცა ებრაული სახლის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ „ხესედ ელიაჰუს" დირექტორმა რეზო შათაშვილმა, „ჯოინთის" წარმომადგენელმა საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვმა, სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა. იურუსალიმის „ჯოინთის" კოორდინატორი მეირ ზიზოვი ამ დღეს არ იმყოფებოდა თბილისში, მისალოცი სიტყვა მან ფაქსით გამოაგზავნა, რომელიც ქ-ნმა ზაირამ გააცნო საზოგადოებრიობას. ხანუქის მნიშვნელობაზე და ტრადიციებზე ისაუბრა საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლანტმა.

სახანუქე მილოცვების შემდეგ რუბრიკაში „ხსოვნა" გახსენებულ იქნენ ორი ერის ღირსეული შვილები აბრამ მამისთვალოვი და ანდრია აფაქიძე, სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ღვაწლმოსილი პიროვნებების ხსოვნას.

კლუბი „26 საუკუნე" მწერალსა და ექიმს სოსო სეფიაშვილს მისი მეგობრის ზვიად სეხნიაშვილის სიტყვით დაემშვიდობა, სადაც იგი თავად სოსო სეფიაშვილზე და მის წიგნზე „გაქცევა არსაიდან" საუბრობს.

ამ საღამოს საინტერესო იყო ანა ფრანკის გახსენება, რომლის დღიურშიც ერთ-ერთ გვერდზე საუბარია ხანუქის დღესასწაულზე. რამდენიმე კვირის წინათ, როცა ებრაულ სახლში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდმა წიგნის ფესტივალი ჩაატარა წარმოდგენილი იყო ანა ფრანკის დღიურის თეატრალიზებული დადგმა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ანა ფრანკმა – ქეთი გურგენიძემ კლუბის საღამოზეც წაიკითხა დღიურიდან ამონარიდი.

კლუბში შექმნილ ატმოსფეროს ალამაზებდა კედლებზე გამოფენილი მხატვართა კავშირის წევრის გოჩა ზირაქიშვილის ნახატები, რომელიც ებრაული სახლის დარბაზის კედლებს 21 დეკემბრიდან ამშვენებს.

მაშინ როცა ცაზე ორი ვარსკვლავი გამოჩნდა, რაც ხანუქის სანთლის ანთების დროზე მიუთითებდა საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლანტმა ლოცვა წარმოსთქვა და პირველი სანთელი აანთო. სახანუქე სანთლები აანთეს: სერგო ვლასოვმა, გურამ პაატაშვილმა, ნათელა პატარკაციშვილმა, ომარ თეთრაშვილმა, ცახი ხორეშმა მორის კრიხელთან ერთად. სანთლები აინთო ყველა მაგიდაზე მდგომ ხანუქიებზეც, რასაც ხანუქის ჰიმნი „მაოზ ცურ" მოჰყვა.

კლუბის რუბრიკაში „ვულოცავთ", მილოცვები მიიღეს: გურამ პაატაშვილმა ეროვნული და მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში შეტანილი ღვაწლისთვის მიღებული გრანპრიზისთვის, ნათან ბააზოვმა, იგი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა „ქართული პოეზიის ანთოლოგიის" თარგმნისთვის. მილოცვები მიიღეს აგრეთვე ლული შათაშვილის სახ. ცოდნის ინფორმაციისა და ტრენინგის ცენტრის დირექტორმა ნანა იოსებაშვილმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისათვის. საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილებამ, ჟურნალ „ნოსტალგიის" პირველი ნომრის გამოშვებისთვის, თამარ მახარაშვილმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ დანიშვნისთვის, მორწმუნე ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარემ შალვა ქოსაშვილმა შვილიშვილის შეძენისთვის და ქაშერი რესტორნის „ძმათა" გახსნისთვის, ნათია პაპისმედოვმა პროგრამა „ბავშვთა ინიციატივის" კოორდინატორად დანიშვნისთვის, ნატალია ლომოურმა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ნაშრომისთვის: ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის თემაზე. ახალმოსახლეობა მიულოცეს იერუსალიმის კლინიკის ხელ-ს რაფიელ ბარნანს.



„26 საუკუნემ" გაბედნიერება მიულოცა ახალშეუღლებულ წყვილებს, ლერი შიმშილაშვილს და ნაია ბააზაშვილს, ინგა მიროტაძეს და მერაბ შიმშილაშვილს, ნატო გეგეშიძეს და ზაზა კოკოლაშვილს, ნინო მოშიაშვილს და ელი ენოხს, თამარ იოსებაშვილსა და რომან ჩაჩაშვილს. კლუბმა 60 წლის იუბილე მიულოცა ომარ თეთრაშვილს.

ქ-ნმა ზაირამ მადლობა გადაუხადა „ხესედ ელიაჰუს" პირადად პოლინა კრასიკს და მომსახურე პერსონალს სალოცავისთვის და კლუბისთვის მომზადებული ხანუქის ფუნთუშებისთვის.

ამ დღეს კლუბის დიასახლისმა წარადგინა ახალი წიგნი „ჩვენ საქართველოს ქალები, რომლის გამოცემაზე მუშაობდნენ: პროფესიონალ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი ნანული ჭავჭანიძე და ჟურნალ „ნაკადულის" მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი. წიგნში შესულია ოთხი ებრაელი ქალბატონი: ნათელა პატარკაციშვილი, ზაირა დავარაშვილი, ევა ბაბალაშვილი და ვიოლეტა ბუზიაშვილი.

საღამოს ამშვენებდა სიმღერები და ლექსები. ლექსები წაიკითხეს დათო შავთოშვილმა, ქეთი თოდაძემ, ია ხანუქაშვილმა შვილიშვილებთან ერთად.

სიმღერები შეასრულეს ვილი გრიგორიანმა ტატიანა სტარიკოვსკაიას აკომპანიმენტით, სალომე ლოლუამ, „შალომ, სეზამის" პატარა აღსაზრდელებმა, მორის კრიხელმა და ქართული ესტრადის ახალგაზრდა ვარსკვლავმა გვანცა ზაქარეიშვილმა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ბიზნესპალატასთან დაიწყო თანამშრომლობა და ებრაული სიმღერაც ჩაწერა.

კლუბის სპეციალური სტუმარი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე, რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მსახიობი და 8 წიგნის ავტორი გივი სიხარულიძე, რომელიც საზოგადოებრიობას ორ ენაზე ქართულად და ებრაულად მიესალმა, მიულოცა ხანუქის დღესასწაული და დამდეგი 2006 წელი, მადლობა გადაუხადა ქ-ნ ზაირას ლამაზად ჩატარებული საღამოსთვის და საკუთარი წიგნები გადასცა საჩუქრად.

საღამო კი კვლავ პოეტ ჯელირა აგლაძის ლექსით დაასრულა კლუბის დიასახლისმა ზაირა დავარაშვილმა.

ნინო ლომია

## ვულოცავთ!



ახლახან მოსეს ხუთწიგნეულისა და სხვა წმინდა ტექსტების ქართულ ენაზე მთარგმნელი, თეოლოგი **შალომ დავიდი (დავითაშვილი)** არჩეული იქნა ისრაელის ქალაქ ხოლონის მერის მოადგილედ.

ჩვენს თანამემამულეს,ცნობილი ხახამ ყიმანუელის ძეს – ბ-ნ შალომ დავიდს, რომელიც ამავდროულად გახლავთ თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო უცხოელი პროფესორი, გულითადად ვულოცავთ ასეთ წარმატებას. გვჯერა, რომ იგი იღვაწებს მთელი ქალაქისა და მისი ერთი დიდი ნაწილის – ქართველი ებრაელობის საკეთილდღეოდ.

## ბარმიცვა

ლინა და რაფი შალელს, მერი და რეზო არენსს გულითადად ვულოცავთ რეზიკოს ბარმიცვას.

ჩვენო საყვარელო რეზიკო, გვჯერა, რომ იქნები უფრო სახელოვანი, ვიდრე არიან შენი წინაპრები. ისიც გვჯერა, რომ იქნები ღირსეული ქართველი ებრაელი და ასახელებ შენს ქვეყანას და ხალხს.

რეზო და მერი არენსი

# ჩაინაშოზედი



**ყველა ამოსაცნობი პიროვნება წარმოშობით ებრაელია.**

1-3. ღარიბ-ღატაკთა გაკითხვა. 2-5. მისტიკური მიმდინარეობა იუდაიზმში. 4-7. ებრაელთა ერთ-ერთი, სეფარადთა ენა. 6-8. ამერიკელი მეცნიერი (1894-1964), რომელიც 18 წლისა უკვე ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორი იყო; ბ-ნი ვინერი. 8-10. ამერიკელი ვირუსოლოგი, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში 1975 წლის ნობელიანტი. 9-11. თვე, რომელშიც ფესახს ვდღესასწაულობთ. 11-13. ებრაული რელიგიური სასწავლო დაწესებულება. 12-15. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი. 14-17. უზენაესისადმი მადლიერების გამომხატველი შაბათის ლოცვა. 16-19. არაებრაელი გოგონა (იდიშ.). 18-20. ებრაელთა ერთ-ერთი დედამთავარი. აბრაამის ცოლი, იცხაკის დედა.

20-22. თვე, რომელშიც ფურიმს ვდღესასწაულობთ.

21-23. ამერიკელი ფიზიკოსი, ახალი ტიპის მძიმე ელემენტარული ნაწილაკის აღმოჩენისათვის 1976 წლის ნობელიანტი.

23-25. ებრაელთა პატრიარქი, რომელიც ხალხის უზენაესისადმი ერთგულების სიმბოლოდაა მიჩნეული.

24-27. მეცნიერება, რომლის მამამთავარია ვინერი; სწავლობს მანქანების მიერ ინფორმაციის მიღებას, შენახვას, გადაცემას და მის გამოყენებას მართვისთვის. 26-29. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი ჭადრაკში. 28-31. K – ვიტამინის სინთეტიკური ანალოგი; ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ შედედებას.

30-32 ებრაული ხალხური მითოლოგიით ჯადოქართა დედოფალი, ყველა დემონის დედა-პატრიარქი. 32-33. თანახის შემდეგ მნიშვნელობით მეორე წიგნი წმინდა ებრაული ტექსტებისა.

33. ერეც-ისრაელის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი.

*შეადგინა*
არკადი ქურჩიშვილმა

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

JAFI

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი